საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 18 ნოემბრის
დადგენილება № 565

მაგისტრატურის, დოქტორანტურის და
დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების
ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №498 და 2011 წლის 29 ივნისის №496 დადგენილებებით დამტკიცებულ მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდეს ხელმძღვანელის ცვლილებები. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კონსტანტინე ამირეჯიბის ავადმყოფობის გამო შეიცვალოს პროგრამების ხელმძღვანელი, კერძოდ:

ა) 2011-2012 სასწავლო წელს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,არქიტიტეტურა" ხელმძღვანელად დაინიშნოს სრული პროფესორი ვლადიმერ ვარდოსანიძე;

ბ) მილევად რეჟიმში მოქმედი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ,,შიგა სივრცის დიზაინი"- ს და ,,ურბანული გარემოს დიზაინი"-ს ხელმძღვანელად დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი ნინო ხაბეიშვილი;

გ) 2011-2012 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურის" პროგრამული მოდულის „არქიტექტურული დიზაინის" ხელმძღვანელად დაინიშნოს გიორგი წულუკიძე;

დ) დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის ,,დიზაინი"-ს ხელმძღვანელად დაინიშნოს ზურაბ ტიტვინიძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე